

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ჯეოსტარი“

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის განხილვა
3. განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი წყაროები
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა
5. ძირითადი საშუალებები
6. არამატერიალური აქტივები
7. მარაგები
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
10. საკუთარი კაპიტალი
11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
13. ამონაგები
14. სხვა საოპერაციო ხარჯები
15. ფინანსური დანახარჯები
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
17. მოგების გადასახადი
18. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
19. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეოსტარი“-ს მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას

აუდიტის საგანი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯეოსტარი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯეოსტარი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად (ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია წინამდებარე დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ასევე შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი ეთიკური ვალდებულებები.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრებისათვის საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის 25 სექტემბრით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საფუძველზე და რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული საქმიანობის მიმოხილვისგან. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მიზანია, რომ გავცნოთ წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას („საქმიანობის მიმოხილვა“) და გამოვთქვათ მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - „საქმიანობის მიმოხილვა“, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო, არის თუ არა თანხვედნილი კომპანიის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ასევე აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობებს. თუ აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობებს, ან არ არის თანხვედნილი იმავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან, გვევალება აუდიტორის მოსაზრებაში ყურადღების გამახვილება ამ ფაქტზე. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ განხორციელებულ პროცედურებზე დაყრდნობით, ვაცხადებთ, რომ ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანხვედნილია შპს „ჯეოსტარი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და ასევე შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას საქმიანობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და მოვამზადოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის ჩატარების პროცესში ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ, ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მართებულობას, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, გვევალება აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არ არის ადეკვატური, მაშინ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების მომზადების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს. ასევე ვაფასებთ, უზრუნველყოფს თუ არა

ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წერილობით წარვუდგენთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე იმ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში გატარებულ იქნა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას და, აქედან გამომდინარე, სწორედ ისინი განვსაზღვრეთ აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება მოცემული საკითხის გასაჯაროება ან, თუ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ თავად არ გადაწყვეტთ, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში, რადგან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვიაჩესლავ ბერაძე (რეგ. # SARAS-A-384413)

შპს “აუდიტის სტანდარტი”-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-403480)

ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთანავე, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს წერილობით წარუდგენთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე იმ შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში გატარებულ იქნა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას და, აქედან გამომდინარე, სწორედ ისინი განვსაზღვრეთ აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება მოცემული საკითხის გასაჯაროება ან, თუ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ თავად არ გადავწყვეტთ, რომ აღნიშნული საკითხი არ უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში, რადგან, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვიაჩესლავ ბერაძე (რეგ. #SARAS-A-384413)

ვ. ბერაძე



შპს "აუდიტის სტანდარტი"-ს სახელით (რეგ. #SARAS-F-403480)

25 სექტემბერი 2024 წ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	250	248
არამატერიალური აქტივები	5	70	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		320	256
მარაგები	6	7,997	6,238
საგადასახადო აქტივი		11	11
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	22	37
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	15	21
დებიტორული დავალიანება	7	14,634	13,172
ფული და ფულის ექვივალენტები	8	722	405
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,401	19,884
სულ აქტივები		23,721	20,140
კაპიტალი	9		
განთავსებული კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		11,677	10,152
სულ კაპიტალი		11,679	10,154
გრძელვადიანი სესხები	10	585	1,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		585	1,146
მოკლევადიანი სესხები	10	8,980	7,415
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	11	1,975	947
მიღებული ავანსები		27	17
საგადასახადო ვალდებულებები	11	82	64
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		393	397
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,457	8,840
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,721	20,140

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს “ჯეოსტარი”-ს სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს.

.....
მუხრან ბერიძე

შპს “ჯეოსტარი”-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	250	248
არამატერიალური აქტივები	5	70	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		320	256
მარაგები	6	7,997	6,238
საგადასახადო აქტივი		11	11
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	22	37
წინასწარ გაწეული ხარჯები	7	15	21
დებიტორული დავალიანება	7	14,634	13,172
ფული და ფულის ექვივალენტები	8	722	405
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,401	19,884
სულ აქტივები		23,721	20,140
კაპიტალი	9		
განთავსებული კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		11,677	10,152
სულ კაპიტალი		11,679	10,154
გრძელვადიანი სესხები	10	585	1,146
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		585	1,146
მოკლევადიანი სესხები	10	8,980	7,415
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	11	1,975	947
მიღებული ავანსები		27	17
საგადასახადო ვალდებულებები	11	82	64
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		393	397
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,457	8,840
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,721	20,140

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჯეოსტარი"-ს სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს.

ფხანდიძე

მუხრან ბერიძე

შპს "ჯეოსტარი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	50,893	44,416
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12	51	3
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(34,453)	(31,067)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13		
ხელფასის ხარჯი		(4,729)	(3,689)
რეკლამის ხარჯი		(8,331)	(4,871)
ტრანსპორტირების ხარჯი		(662)	(758)
ადმინისტრაციული ხარჯი		(1,741)	(1,275)
ცვეთის ხარჯი		(82)	(97)
სხვა ხარჯი		(64)	(148)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(15,609)	(10,838)
არასაოპერაციო შემოსავალი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		163	455
საპროცენტო შემოსავალი		2	4
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	2,541	1,595
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		2,706	2,054
არასაოპერაციო ხარჯი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი	14	(278)	(358)
საპროცენტო ხარჯი	14	(1,000)	(792)
მარაგების გაუფასურება		(72)	(154)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(65)	(96)
სულ არასაოპერაციო ხარჯი		(1,415)	(1,400)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,173	3,168
მოგების გადასახადის ხარჯი		(108)	(175)
წლის მოგება (ზარალი)		2,065	2,993

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	2	9,396	9,398
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	(855)	(855)
რეორგანიზაცია	-	(1,382)	(1,382)
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	2,993	2,993
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2	10,152	10,154
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	(540)	(540)
რეორგანიზაცია	-	-	-
განთავსებული კაპიტალის ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	2,065	2,065
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	2	11,677	11,679

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი '000

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ნავაჭრი ამონაგებიდან	50,834	46,982
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(36,952)	(35,536)
ადმინისტრაციული ხარჯები	(12,904)	(11,559)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე	978	(113)
გადახდილი პროცენტები	(992)	(873)
მიღებული პროცენტები	4	4
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(10)	(982)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეაბილიტაცია	(114)	(30)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	83	46
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(31)	16
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(540)	(855)
სესხის აღება	28,167	25,265
სესხის დაფარვა	(27,170)	(23,496)
ნეტო ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	457	914
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა/(შემცირება)	416	(52)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	405	531
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(99)	(74)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	722	405

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეოსტარი“ (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 202243401).

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, სამგორის ქუჩა N 36ბ-ში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები და პირველადი მოხმარების პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია. საქონლის შეძენა კომპანიის მხრიდან უმეტესწილად ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისგან და შემდეგ ხდება აღნიშნული საქონლის დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე.

კომპანია დაფუძნდა 2004 წლის 26 ოქტომბერს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან გია გიგოლაშვილი, რომელიც ფლობს 50%-ს და არჩილ მაზიაშვილი, რომელიც ფლობდა 50%-ს. კომპანიას მართავს დირექტორი მუხრან ზერიძე - საქართველოს მოქალაქე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის

მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების ლარში გადაყვანა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც აღნიშნულ თარიღში მოქმედებს. უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედებს. ასეთი ოპერაციების ჩატარებით და უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების შედეგად მიღებული მოგება-ზარალი შემოსავლების ანგარიშგებაში აისახება.

2023 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი - 2.7020) და 1 ევრო = 2.9753 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი - 2.8844).

წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"). მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთელი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი

ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	5-15 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	3-10 წელი
- ავეჯი	10-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	3-10 წელი

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ძირითადი საშუალების რეალიზაციით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესაბამისად გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის, სავარაუდოდ, მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მას შემდეგ, რაც კომპანია კონტროლს მოიპოვებს ამ აქტივებზე და სავარაუდოა, რომ კომპანია მომავალში აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკური სარგებელს მიიღებს. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება მოხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი აქტივი, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება, როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვების შექმნა

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მომდინარე იურიდიული ან არაკონტრაქტული ვალდებულება, დიდი ალბათობით საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ამ ვალდებულების დასაფარად და ასევე შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

სარეზერვო თანხის შეფასება ხდება მომავალში მოსალოდნელი საჭირო თანხის დღევანდელი ღირებულებით, რათა ვალდებულება დაიფაროს გადასახადის გადახდამდე არსებული განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის ღირებულების ამჟამინდელ საბაზრო შეფასებებს და იმ რისკებს, რაც ასეთ ვალდებულებას ახლავს თან. დროის გასვლასთან დაკავშირებით სარეზერვო თანხის ზრდა აისახება როგორც საპროცენტო ხარჯი.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის განთავსებული კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის განთავსებული კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (*მომსახურების გაწევიდან*) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (*მომსახურება*) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (*მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა*), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (*რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან*) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (*მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება*). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. კომპანია არ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (*მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით*). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (*აღიარდება*) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (*მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით*).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

არსებობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არარსებობის გამო).

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი ე.წ. “დაგროსილი” თანხიდან (ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროვება 5% საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდეგ 0,85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახდით დასაბეგრი ბაზა), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.

კომპანიის მიერ 2017 წლის 01 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებისათვის დივიდენდის გაცემა მოგების განაწილებად არ მიიჩნევა.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანიას არ აქვს აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წელს მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადის ვალდებულება.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აკარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ასევე შედგათიანი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული

პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები ; დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა აღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების (ან ავანსის დაბრუნების) შემდეგ, კომპანიას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ამ ოპერაციებზე გადახდილი (დეკლარირებული) მოგების გადასახადის ჩათვლა. ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება “სხვა საოპერაციო ხარჯებში” და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - “მოგების გადასახადი”.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე). საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება ანგარიშგების შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია პერიოდულად განიხილავს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებსა და გადაწყვეტილებებს მომავალი პერიოდებისათვის. აღნიშნული შეფასებები და გადაწყვეტილებების შემუშავება ხდება გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებენ კომპანიის ფუნქციონირებადობას. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა გარკვეულწილად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეფასება და დაშვება, რაც მომდევნო ფინანსურ პერიოდებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში შესაძლოა არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელი იყოს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური

პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რაც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკველვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის და არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად ახდენს გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების განხილვას გაუფასურებაზე. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი.

კაპიტალის მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკებს, იმისათვის რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით, მიიღოს უკუგება პარტნიორებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს განიხილავს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. მაღალ რისკიანი მომხმარებლები ზოგადად მეტ ყურადღებას საჭიროებს და მათზე რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

5. ძირითადი საშუალებები

2022 წლის 20 აპრილს განხორციელდა შპს ჯეოსტარის რეორგანიზაცია, კერძოდ კომპანიის უძრავი ქონება და სხვა ძირითადი საშუალებები გადაეცა რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნებულ ახალ კომპანიას (შპს „ჰართ გრუპის“ (ს/წ 406362724)). გაყოფის შედეგად გადაცემული ქონების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 391 ათას ლარს, ხოლო გაყოფის თარიღისათვის 1 382 ათას ლარს. გაყოფის შემდეგ შპს ჯეოსტარის მიერ მოხდა აღნიშნული ქონების იჯარით აღება.

მიწა	შენობები და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
'000 ლარი ღირებულება						
ნაშთი 1 იანვარი 2022	296	1,604	59	457	614	3,065
დამატებები	-	-	-	25	-	25
გასვლები	(296)	(1,604)	-	(164)	-	(2,229)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	59	318	449	861
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	-	59	318	449	861
დამატებები	-	-	-	39	-	124
გასვლები	-	-	-	(44)	-	(253)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	59	313	325	732

ცვეთა და ამორტიზაცია

ნაშთი 1 იანვარი 2022	-	526	48	353	412	18	1,357
წლის დარიცხული ცვეთა	-	8	5	34	43	1	91
გასვლები	-	(534)	-	(147)	(154)	-	(835)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	(0)	53	240	301	19	613
ნაშთი 1 იანვარი 2023	-	(0)	53	240	301	19	613
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	4	33	36	1	74
გასვლები	-	-	-	(44)	(161)	-	(205)
გადაჯგუფება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	(0)	57	229	176	20	482
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2022	296	1,078	11	104	202	17	1,708
31 დეკემბერი 2022	-	0	6	78	148	16	248
31 დეკემბერი 2023	-	0	2	84	149	15	250

6. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ლიცენზიები	სხვა	სულ
ღირებულება			
ბალანსი 1 იანვარი 2022	46	1	47
დამატებები	-	-	-
გასვლები	(2)	-	(2)
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	44	1	45
ბალანსი 1 იანვარი 2023	44	1	45
დამატებები	70	-	70
გასვლები	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	114	1	115
ამორტიზაცია			
ბალანსი 1 იანვარი 2022	33	-	33
წლის დარიცხული ცვეთა	6	-	6
გასვლები	(2)	-	(2)
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	37	-	37
ბალანსი 1 იანვარი 2023	37	-	37
წლის დარიცხული ცვეთა	8	-	8
გასვლები	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	45	-	45
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი 2022	13	1	14
31 დეკემბერი 2022	7	1	8
31 დეკემბერი 2023	69	1	70

7. მარაგები

'000 ლარი	2023წ. 31 დეკემბერი	2022წ. 31 დეკემბერი
სარეალიზაციო მარაგები საწყობში	7,174	6,095
საქონელი გზაში	774	112
სხვა მარაგები	49	31
სულ მარაგები	7,997	6,238

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	2023წ. 31 დეკემბერი	2022წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო მისაღები თანხები	14,634	13,172
გაცემული ავანსები	22	37
წინაწარ გადახდილი თანხები	15	21
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,671	13,230

საექვო მოთხოვნების რეზერვი

'000 ლარი	ბალანსი 2023წ. 31 დეკემბერი	რეზერვი	ბალანსი 2022წ. 31 დეკემბერი	რეზერვი
მიმდინარე	14,221	-	12,627	-
ვადაგადაცილებად				
30 დღემდე	323	-	243	-
31-90 დღემდე	100	40	197	73
91-180 დღემდე	98	68	99	43
180 დღეზე მეტი	236	236	343	220
სულ	14,978	344	13,508	336

კომპანიის დებიტორული დავალიანება 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა, რაც გამოწვეულია რეალიზაციის ზრდით. დავალიანების ძირითადი ნაწილი აქვთ უმეტესწილად მსხვილ მაღაზიებს, რომლებთანაც კომპანიას აქვს დიდი ბრუნვა. საექვო მოთხოვნების რეზერვი არ აღემატება მთლიანი სადებეტო დავალიანების 5%-ს და ვადაგადაცილებული თანხების მიღების ალბათობა კომპანიის შეფასებით არის საკმაოდ მაღალი.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

'000 ლარი	<u>2023წ. 31 დეკემბერი</u>	<u>2022წ. 31 დეკემბერი</u>
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	713	399
ნაღდი ფული	<u>9</u>	<u>6</u>
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	<u>722</u>	<u>405</u>

კომპანიის ფულადი სახსრების ოდენობა 2023 წლის განმავლობაში გაიზარდა, ამასთანავე კომპანია დროულად ფარავს მომწოდებლის დავალიანებას და სასესხო ვალდებულებებს.

10. საკუთარი კაპიტალი

(ა) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის განთავსებული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 ათას ლარს და მთლიანად შედგება ფულადი შენატანებისგან, რომელიც განახორციელეს კომპანიის მეწილეებმა კომპანიის დაარსებისას.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც შედგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. 2023 წელს კომპანიის მიერ მოხდა წინა წლებში მიღებული დივიდენდების გამოცხადება და განაწილება 540 ათასი ლარის ოდენობით.

11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტი

‘000 ლარი	2023წ. 31 დეკემბერი	2022წ. 31 დეკემბერი
მიმდინარე		
სესხები ბანკიდან	8,956	7,398
გადასახდელი პროცენტი	24	17
სულ მიმდინარე სესხები	8,980	7,415
გრძელვადიანი		
სესხები ბანკებიდან	585	1,146
სულ გრძელვადიანი სესხები	585	1,146

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეადგენს: ლარში სესხებზე – წლიური 12,5%-დან 13,5%-მდე. სესხების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საკრედიტო ხაზებს 12 თვიდან 36 თვემდე და აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად და საბიუჯეტო გადასახადების დროული ანგარიშსწორებისთვის.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	2023წ. 31 დეკემბერი	2022წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო გადასახდელი თანხები	1,975	947
გადასახდელი გადასახადები		
მოგების გადასახადის გარდა	82	64
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელი თანხები	2,057	1,011

13. ამონაგები

‘000 ლარი	2023	2022
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	50,933	44,416
შემოსავლები მომსახურებიდან	11	3
სულ შემოსავლები:	50,944	44,419

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

‘000 ლარი	2023	2022
ხელფასები	4,729	3,689
რეკლამის ხარჯი	8,331	4,871
ტრანსპორტირების ხარჯი	662	758
იჯარის ხარჯი	1,352	854
ავტოტრანსპორტის რემონტის ხარჯი	37	96
ცვეთის ხარჯი	82	97
პროფესიონალური მომსახურება	108	72
სხვა ხარჯები	308	401
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	15,609	10,838

15. ფინანსური დანახარჯები

‘000 ლარი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხებზე	1,000	792
უცხოური ვალუტის გადაფასების შედეგი	278	358
სულ ფინანსური ხარჯები	1,278	1,150

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

‘000 ლარი	2023	2022
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	2,461	1,501
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	29
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	54	65
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,541	1,595

17. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს.

18. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

გარანტიის სახით ჩადებული და შეზღუდული აქტივები. კომპანიას ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად, ბანკის სასარგებლოდ დატვირთული აქვს მთლიანი სასაქონლო-მატერიალური მარაგები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: ნებისმიერი არსებული და სამომავლო მოთხოვნის უფლება, დამგირავებლის მოვალეობის, დებიტორების მიმართ.

კომპანიას აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობა დაკავშირებული მხარის (*იურიდიული პირის*) მიერ საბანკო დაწესებულებიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად. სოლიდარული პასუხისმგებლობის (*თავდებობის*) ოდენობა განსაზღვრულია 1 750 ათასი დოლარის ოდენობით.

კომპანიას ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად სხვა ბანკიდან აღებული აქვს გრძელვადიანი საბანკო გარანტია 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლო დავები - 2024 წელს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი არსებითი დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა პერიოდულად განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციები საგადასახადო კანონმდებლობის ზოგიერთ საკითხზე შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, რის გამოც კომპანიის ოპერაციები საგადასახადო დაბეგვრის კუთხით შეიძლება სხვაგვარად იქნეს შეფასებული საგადასახადო ორგანოების მხრიდან და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, სანქციები. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი კანონმდებლობის მიხედვით სრულად აქვს დარიცხული და შესაბამისად, რაიმე სახის ანარიცხი არ შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში. კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს და აქედან გამომდინარე, საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები ამ ვადის გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო - კომპანია საქმიანობს საქართველოში ახორციელებს. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

რუსეთ-უკრაინის ომი - რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები არ ეხება კომპანიის ოპერაციებს. რთულია მიმდინარე სიტუაციის გრძელვადიანი გავლენის შეფასება.

გარემოს დაცვის საკითხები. საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

19. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება.

ძირითადი მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის დირექტორს. მისთვის გაცემული ანაზღაურება, აღნიშნულ თანამდებობაზე სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს, კომპანიის ფინანსურ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს და სხვა ხარჯების ანაზღაურებას. მთლიანი ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

'000 ლარი	2023	2022
ხელფასი და სარგებელი	84	78
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	84	78

დაკავშირებული მხარისაგან შეძენილი საქონელი და მომსახურება

'000 ლარი	2023	2022
შეძენილი საქონელი და მომსახურება	3,969	3,518
სულ შეძენილი საქონელი	3,969	3518

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	2023წ. 31 დეკემბერი	2022წ. 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება	18	87
გასაცემი ხელფასი	4	0
გაცემული ავანსი	0	6
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	22	81

20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიას ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად, ბანკის სასარგებლოდ დატვირთული აქვს მთლიანი სასაქონლო-მატერიალური მარაგები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: ნებისმიერი არსებული და სამომავლო მოთხოვნის უფლება, დამგირავებლის მოვალეობის, დებიტორების მიმართ. კომპანიას აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობა დაკავშირებული მხარის (*იურიდიული პირის*) მიერ საბანკო დაწესებულებიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად. სოლიდარული პასუხისმგებლობის (*თავდებობის*) ოდენობა განსაზღვრულია 1 750 ათასი დოლარის ოდენობით. კომპანიას ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად სხვა ბანკიდან აღებული აქვს გრძელვადიანი საბანკო გარანტია 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების ხელმოწერამდე პერიოდში გამოცხადებულია და გაცემულია დივიდენდი 200 ათასი ლარის ოდენობით

შპს“ჯეოსტარი“

მმართველობის ანგარიშგება

2023

საქმიანობის მიმოხილვა

შპს“ჯეოსტარი“ (შემდგომში“კომპანია“) არის 2004 წელს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით 202243401, რომლის საქმიანობა წარმოადგენს პროდუქციის იმპორტი და დისტრიბუცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანია არ ფლობს ფილიალებს ან/და შვილობილ კომპანიებს.

კომპანია ორიენტირებულია მაღალი ხარისხის და სახვადასხვა მიმართულების პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციაზე, რაც მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებელთა ნდობისა და წარმატების მოპოვებისათვის.

სამიზნე სექტორის მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ მსხვილი, საშუალო და მცირე ზომის მაღაზიების, შესაბამისი პროფილის სავაჭრო ქსელების უმრავლესობა. ასევე კვების მომსახურების და სასტუმროს სექტორის ე.წ.“HoReCa“-ს ტიპის ობიექტები.

პროდუქციის ძირითადი ჯგუფებია:

1. კვების პროდუქტები
2. ჰიგიენის საგნები
3. ყოველდღიური მოხმარების საგნები
4. სანთებელა
5. საყოფაცხოვრებო ქიმიკა
6. გალანტერია

კომპანია დისტრიბუციას ანხორციელებს გაყიდვების განყოფილების თანამშრომლების (სავაჭრო წარმომადგენელის) მეშვეობით რომელთა მოვალეობაში შედის შეკვეთების მიღება და თანხის მოგროვება. სავაჭრო წარმომადგენლებს ხელმძღვანელობს სუპერვაიზერები, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან მიმართულების გაყიდვების მენეჯერებს.

პროდუქციის მიწოდება შემკვეთისათვის ხორციელდება კომპანიის მიწოდების სამსახურის თანამშრომლების მიერ მას შემდეგ რაც გადაეცემა ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

დასავლეთ საქართველოში კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით 2016 წელს ქალაქ ბათუმში გაიხსნა საწყოები, რამაც ხელი შეუწყო რეალიზაციის ზრდას. ბათუმის საწყოებიდან მარაგდება აჭარისა და გურიის რეგიონი. 2022 წლის ბოლოს შეიცვალა საწყოების ლოკაცია და კომპანიის მარაგები განთავსდა უკეთ ეკიპირებულ შენობაში. შესაბამისად ამაღლდა საწყოების ფუნქციონირების ხარისხი.

2023 წლის თებერვლიდან საწყოების გაიხსნა ქალაქ ქუთაისშიც, საიდანაც მარაგდება იმერეთის, სამეგრელოს და რაჭის რეგიონები. საწყოების ფუნქციონირებამ ხელი შეუწყო აღნიშნულ რეგიონში რეალიზაციის ზრდას.

კომპანიის მიზანია საქართველოს ბაზარზე წილის ზრდა როგორც მაღაზიების ასევე სასტუმროების და კვების ობიექტების მიმართულებით. ეს იქნება არსებული, თუ ახალი ხარისხიანი პროდუქციის მიწოდების მეშვეობით. ამისათვის მუდმივად ხდება ბაზრის შესწავლა და ახალი მომწოდებლების მოძიება.

კომპანიის რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს:

ა) მაღაზიების გაკოტრება ან მათი მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქცევა დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით. რაც ძალიან გახშირდა პანდემიის პერიოდში და სამწუხაროს გრძელდება პანდემიის შემდეგაც.

ამ რისკის მართვა ხორციელდება შემუშავებული მუდმივი კონტროლის მექანიზმით. ასეთი დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კანონმდებლობით დაშვებულ ყველა საშუალებას რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ზარალის ოდენობა.

ბ) ფულის მოგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ თანხის უკანონოდ დაუფლება.

კომპანია იყენებს კანონით დაშვებულ ყველა შესაძლებლობას რაც შეიძლება გარანტი გახდეს აღნიშნული ქმედების აღმოსაფხვრელად. ამის შესახებ სამსახურის დაწყებამდე ინფორმირებულია შესაბამისი თანამშრომელი.

გ) სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილება (ლარის პოტენციური გაუფასურება). აღნიშნული გარდა მიღებული ზარალისა ამცირებს მომხმარებლის მსყიდველობით უნარს.

დ) მცენარეულ ზეთზე მერყევი ფასი რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე ფასების ხშირი ცვალებადობით.

ე) ნაღდი ფულის აკუმულირების შენელებული ტემპი;

შპს“ჯეოსტარში“, 2023 წელს დასაქმებულია დაახლოებით 220 თანამშრომელი. ვინაიდან საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია

ადამიანური რესურსი კომპანია ცდილობს დაასაქმოს მაქსიმალურად მოტივირებული და შესაბამისი განათლების მქონე კადრები. შეუქმნას მათ შრომისათვის უსაფრთხო გარემო და მისცეს საშუალება კარიერული წინსვლისათვის. კომპანია ცდილობს შესაბამისად შეაფასოს დასაქმებულთა შრომა ადეკვატური ანაზღაურების თუ სახელფასო დანამატების გაცემის საშუალებით.

წარმოგიდგენთ ფინანსური კოეფიციენტებს:

	2021	2022	2023
საოპერაციო მოგების მარჟა	<u>8%</u>	<u>9%</u>	<u>9%</u>
საერთო მოგების მარჟა	<u>21%</u>	<u>30%</u>	<u>32%</u>
მოკლევადიანი ლიკვიდობა	<u>178%</u>	<u>225%</u>	<u>204%</u>

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებულია და ხელმოწერილია შპს ჯეოსტარი-ს სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს.

შპს ჯეოსტარი-ს დირექტორი

მუხრან ბერიძე

ადამიანური რესურსი კომპანია ცდილობს დაასაქმოს მაქსიმალურად მოტივირებული და შესაბამისი განათლების მქონე კადრები. შეუქმნას მათ შრომისათვის უსაფრთხო გარემო და მისცეს საშუალება კარიერული წინსვლისათვის. კომპანია ცდილობს შესაბამისად შეაფასოს დასაქმებულთა შრომა ადეკვატური ანაზღაურების თუ სახელფასო დანამატების გაცემის საშუალებით.

წარმოგიდგენთ ფინანსური კოეფიციენტებს:

	2021	2022	2023
საოპერაციო მოგების მარჟა	<u>8%</u>	<u>9%</u>	<u>6%</u>
საერთო მოგების მარჟა	<u>21%</u>	<u>30%</u>	<u>32%</u>
მოკლევადიანი ლიკვიდობა	<u>178%</u>	<u>225%</u>	<u>204%</u>

წინამდებარე ანგარიში გამოსაშვებად დამტკიცებულია და ხელმოწერილია შპს ჯეოსტარი-ს სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს.

შპს ჯეოსტარის დირექტორი

მუხრან ბერიძე

